პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 235 (5265) 27 ნოემბერი, ოთხშაბათი. 1974 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## პროფკავშირების სპორტული დროშით

ბოლო ორ წლი-ნახევრის მანძილზე პროფკავშირების ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა მშდ კომპლექსის 10700000 ნიშნოსანი მოამზადეს. ეს ითქვა 25 ნოემბერს მოსკოვში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს IV პლენუმზე.

პლენუმმა განიხილა მშდ კომპლექსის დღევანდელი მდგომარეობისა და შემდგომი დანერგვის საკითხები. მოხსენებით გამოვიდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ფურავლიოვი. მან ილაპარაკა ყაზახეთის სპორტსაზოგადოება „ენბეკის“ გამოცდილებაზე. ამ საზოგადოების ფიზკულტურის კოლექტივებს ეკუთვნით ინიციატივა — „1976 წლის 1 იანვრისთვის ყველა ფიზკულტურელი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი იყოს“. კარგ შედეგებს მიაღწიეს, აგრეთვე, საზოგადოებებმა „ზენიტმა“, „კრასნოე ზნამიამ“, „სპარტაკმა“ და „ტრუდმა“.

მშდ კომპლექსის დასანერგად გაწეულმა მუშაობამ განაპირობა სპორტული ბაზების მშენებლობის გაფართოება. მარტო ორ წელიწადში აშენდა 119 სტადიონი, 116 აუზი, 1148 დარბაზი, 900 სათხილამურო ბაზა, 847 ტირი, 6 ათასამდე სხვადასხვა სპორტული მოედანი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად პლენუმმა აღნიშნა, რომ მშდ კომპლექსი ჯერ კიდევ არ ქცეულა ყველა ფიზკულტურის კოლექტივისა და სპორტსაზოგადოების საბჭოს პრაქტიკული მუშაობის საფუძვლად.

პლენუმმა განიხილა, აგრეთვე, პროფკავშირთა ზამთრის VIII სპარტაკიადის მასობრივ შეჯიბრებათა მსვლელობის საკითხი, აგრეთვე, მისი ზონალური და ფინალური სტარტებისთვის მზადების ამოცანები.

სპარტაკიადის მასობრივმა შეჯიბრებებმა სპორტის ზამთრის სახეობებში ჩააბა 3 მილიონამდე მუშა, მოსამსახურე და მოსწავლე. 7 მილიონზე მეტი ადამიანი მეცადინეობს ჯანმრთელობის ჯგუფებსა და ტურიზმის სექციებში. სპორტსაზოგადოებათა საბჭოები პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების დახმარებით დიდ მუშაობას ეწევიან ახალი სპორტული ბაზების მშენებლობისთვის, მათი საზამთროდ მომზადებისთვის. კემეროვოს ოლქში, მაგალითად, მწყობრში ჩადგა 40-მეტრიანი სათხილამურო ტრამპლინი, ნოვოკუზნეცკში დამთავრდა 400-მეტრიანი საციგურაო ბილიკის მშენებლობა. უკვე მზად არის ყინულის სასახლე „სნეჟინკა“ და სათხილამურო ბაზა პროკოპიევსკში.

— სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების დაწყებამდე 90 დღე დარჩა, მაგრამ ყველა სპორტული საზოგადოება აქტიურად ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული მუშაობაში, — აღნიშნა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. კულიკოვმა. — ნაკლოვანებები ახასიათებს არხანგელსკის, ირკუტსკის, კურგანის, კუიბიშევის, ნოვოსიბირსკის, რიაზანის, იაროსლავლის ოლქების ფიზკულტურულ ორგანიზაციათა მუშაობას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე ბ. გონჩაროვი.

**საკდესი — ტელეტაიპით**

## წინ არის ახალი სტარტები

სასოფლო სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს IV პლენუმმა შეაჯამა II საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშების შედეგები. სასოფლო ოლიმპიადის ყველა ეტაპზე სარბიელზე 14 მილიონი ფიზკულტურელი გამოვიდა. შეჯიბრებების პერიოდში დამყარდა სასოფლო სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს ცხრა რეკორდი, ერთი მსოფლიო მიღწევა იუნიორი ქალოსნებისთვის, 8 მილიონმა სოფლის ფიზკულტურელმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები. მარტო წლევანდელ სეზონში სოფლის 80 ფიზკულტურელმა აჩვენა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივზე მაღალი შედეგები. 55 სპორტსმენი სსრ კავშირის პირველობათა ჩემპიონი და პრიზიორია.

წინ არის III საკავშირო სასოფლო თამაშები, რომლის ჩატარებაც განზრახულია 1978 წელს. პლენუმზე სიტყვით გამოსულმა სპორტსაზოგადოება „იიუდ ი ს“ (ესტონეთი) ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ პ. ტეესაუმ განაცხადა, რომ ესტონეთის სოფლის სპორტსმენები მზად არიან თამაშების მონაწილეებისა და სტუმრების მისალებად.

მთელ რიგ ფიზკულტურულ კოლექტივებში (გორკის ოლქის კოლმეურნეობა „მიროვოი ოქტიაბრი“, კიევის ოლქის „ზარია კომუნიზმა“, ტაშკენტის ოლქის „უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 40 წელი“, ვოლგოგრადის ოლქის „სოვეტსკაია როსია“) ჩატარებული მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ადგილებზე ყველა შესაძლებლობა არსებობს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებისთვის.

პლენუმმა განიხილა, აგრეთვე, სსრ კავშირის პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადისთვის სპორტსაზოგადოებების „ნიამუნასის“, „უროჟაის“, „ქაირათის“ მზადების საკითხები. აღინიშნა ლიტვაში ჩატარებული სერიოზული მუშაობა: „ნიამუნასის“ ორგანიზაციებში ზამთრის სეზონში იმუშავებს 10 სათხილამურო ბაზა და 5 განათებული სათხილამურო ტრასა. სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭო პირველად ჩაატარებს მელიორაციის სისტემის მუშების, გაერთიანება „ლიტსელხოზტეხნიკისა“ და „მეჟკოლხოზსტროის“, აგრეთვე, საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების მოსწავლეთა სპარტაკიადას. (საკდესი).

## ოლიმპიური მოსკოვისთვის

### უნგრელ სპეციალისტთა წვლილი

უნგრეთის ელექტრომოწყობილობისა და ხელსაწყოების კომბინატი ფართოდ იქნება „წარმოდგენილი“ 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდება. ამჯერად აქ სპორტსმენებზე არ არის ლაპარაკი. მოსკოვში კომბინატის ღირსებას დაიცავენ მისი კოლექტივის მიერ დამზადებული ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოები, რომლებიც მთელს მსოფლიოშია ცნობილი.

ახლა კომბინატის სპეციალისტები ყელამდე საქმეში არიან ჩაფლულნი. მათ ოლიმპიადის მოსამზადებელმა კომიტეტმა დაუკვეთა ასეთი ტაბლოების დამზადება და უკვე შეუდგნენ ელექტრონული აპარატურის დამუშავებას. უკვე ცნობილია, რომ ელექტრონული ტაბლო იმუშავებს ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანასთან ერთად, რაც საშუალებას იძლევა ინფორმაციის გადაცემის სისწრაფე წუთში 50-60 ათას ნიშნამდე გაიზარდოს.

ზ. შესტაკოვი.

ბუდაპეშტი.

**საკდესი — კორესპონდენცია**

## ამერიკელები აღტაცებული არიან

ვაშინგტონი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში საჩვენებელი გამოსვლით დაამთავრა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ნაკრებმა 18-დღიანი ტურნე ამ ქვეყანაში. „განსაცვიფრებელი წარმატება“, „დიდებულია“, — ასე ერთსულოვნად ახხამენ ხოტბას სტუმრებს ფილადელფიის, სან-ფრანცისკოს, ლოს-ანჯელესის, ნიუ იორკის, ბოსტონის, კლივლენდისა და ვაშინგტონის გაზეთები, სადაც კი გამოვიდნენ საქვეყნოდ ცნობილი საბჭოთა ოსტატები.

ათასობით ვაშინგტონელი მქუხარე ტაშით მიესალმა საბჭოთა სპორტსმენების საჩვენებელ გამოსვლას. „გრაციამ, ოსტატობამ და სიზუსტემ პირდაპირ გააოცა მაყურებლები, — წერს დედაქალაქის გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, — ე. საადიმ, ნ. დრონოვამ, ო. კორბუტმა, ნ. კიმმა, ნ. ანდრიანოვმა და გუნდის სხვა წევრებმა ჩამოიტანეს პროგრამა, რომლის დანახვაც პირდაპირ სუნთქვას გიკრავთ. მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლების გ. შუგუროვას და გ. შაფროვას გამოსვლები იმდენად გრაციოზული იყო, რომ ბალეტის ვარსკვლავების ხელოვნებას უფრო მოგაგონებდათ“.

**ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!**

## სპარტაკიადა ბორბლებზე







სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეჯიბრებებს ტექნიკურ სახეობებში: გაისად საბჭოთა კავშირის დოსააფელები სპარტაკიადის პროგრამით 26 სახეობაში იასპარეზებენ. საქართველოს სპორტსმენები დიდი სტარტებისთვის გულმოდგინედ ემზადებიან. ნაკრები გუნდების კანდიდატები უკვე შეარჩიეს და მათი ხელმძღვანელობა ცნობილ მწვრთნელებს დაავალეს.

საქართველოს დოსააფელებმა წლევანდელ საკავშირო შეჯიბრებებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. თბილისის სპორტულ-ტექნიკური კლუბის „გრიგალის“ წევრებმა ამ კლუბის არსებობის მანძილზე საკავშირო მასშტაბით ორჯერ გუნდური გამარჯვება დაისაკუთრეს, აღზარდეს სამი საკავშირო ჩემპიონი, ლენინგრადისა და რიგის ღია პირველობებიც ბევრჯერ მოიგეს. ახლა კლუბის ავტომობილისტები ვ. სავიცკი, გ. დგებუაძე, მ. ლოგინოვი და სხვები სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საკავშირო კატეგორიის მსაჯ ბ. შულცის ხელმძღვანელობით გადამწყვეტი სტარტებისთვის ემზადებიან.

ვალში არც მცირელიტრაჟიანი მანქანებით რბოლისა და მოტოკროსის მოყვარულები რჩებიან. კარტინგისტებისგან რესპუბლიკა ხალხთა VI სპარტაკიადაში მნიშვნელოვან ქულებს ელის.

„სპარტაკიადა ბორბლებზე“ — ასე დაარქვეს ავტომობილებითა და მოტოციკლებით შეჯიბრებებს (ასეთი რამდენიმე სახეობაა). ამ სპარტაკიადის მონაწილეებში საქართველოს სპორტსმენები ხაგრძნობ ძალას წარმოადგენენ, ამიტომ რესპუბლიკის დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელშეწყობით ყველაფერი უნდა იღონოს გუნდების საბრძოლო მზადყოფნისთვის.

ო. ივლოშვილი.

* * *

სურათებზე: თბილისის სპორტულ-ტექნიკური კლუბის „გრიგალის“ წევრთა ერთ ჯგუფს ესაუბრება მწვრთნელი ბ. შულცი (სურათზე — მარცხნიდან მეორე); საქართველოს კარტინგისტების ერთი შეჯიბრების სტარტი; მოტოკროსის ტრასაზე.

ა. რუხაძისა (საკდესი) და ო. გელაშვილის ფოტოები.




# უკვალოდ არ ჩაივლის

ლელო ინტერვიუ

**გ**აისად, თებერვლის დამლევს და მარტის დამდეგს, გაიმართება პროფკავშირთა საკავშირო ზამთრის VIII სპარტაკიადა, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. ამ ასპარეზობისთვის საქართველოს სპორტული დელეგაციის მზადების შესახებ „ლელოს" კორესპონდენტს ც. ქიმისტარიშვილს ესაუბრა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ი. გოგორიძე.

ვბეჭდავთ ამ საუბარს.

**● სად და როდის ჩატარდება პროფკავშირთა ზამთრის საკავშირო სპარტაკიადა?**

— ამ ასპარეზობის მასპინძლობა 20 თებერვლიდან 4 მარტამდე წილად ხვდათ გორკის, ბრატსკსა და ტერსკოლს. სპარტაკიადის ცენტრი გორკი იქნება: აქ მოეწყობა შეჯიბრებები პროგრამით გათვალისწინებულ თითქმის ყველა სახეობაში, გარდა სამთოსათხილამურო და საციგაო სპორტისა. სამთო მოთხილამურენი ტერსკოლში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, საციგაო სპორტის ოსტატები — ბრატსკში.

**● როგორია საკავშირო სპარტაკიადის ფორმულა?**

— ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა არმიის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ამ უდიდესი კომპლექსური შეჯიბრების ფორმულა წინა სპარტაკიადებისგან არაფრით განსხვავდება. ასპარეზობანი რამდენიმე ეტაპად გაიმართება — შიდასაკოლექტივო ტურნირები; სარაიონო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების; ზონალური და ფინალური ასპარეზობანი.

**● რა იგულისხმება ზონალურ შეჯიბრებებში?**

— ზონალური ტურნირები ფაქტიურად საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებისთვის ეწყობა, სადაც ზამთრის სპორტი სათანადოდ არის განვითარებული. მაგალითად, რსფსრ რამდენიმე ზონადაა დაყოფილი. რესპუბლიკური სპარტაკიადებიც ზონალურ ტურნირებს უთანაბრდება, ზონებში გამარჯვებულნი კი ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან.

**● როგორც ცნობილია, წლეულს მარტში გამართულ ზამთრის III საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს სპორტსმენებმა ვერ შეძლეს ყველა სახეობაში გამოსვლა. როგორ არის ამ მხრივ საქმე პროფკავშირების სპარტაკიადაში?**

— ერთ წელიწადში გუნდების მომზადების დონის არსებითად შეცვლა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენი კოლექტივის შემადგენლობა საქართველოს ნაკრებთან შედარებით ერთგვარად შესუსტებულიც იქნება, ვინაიდან დინამოელები პროფკავშირთა სპარტაკიადაში ვერ გამოვლენ. ვერ გამოვიყვანთ ორჭიდელებს, ბიატლონისტებს, მოციგურავეებს, ჰოკეისტებს (ჰოკეი ბურთით), სათხილამურო რბოლებში კი პირად პირველობაში საასპარეზოდ მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენს თუ გავგზავნით.

**● გვიამბეთ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში საქართველოს პროფსაბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.**

— უკვე საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის დამთავრებამდე ვიცოდით, რომ პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს თავისი ასეთივე ასპარეზობის ჩატარება ჰქონდა განზრახული. მალე დებულებაც მივიღეთ და მზადებაც დავიწყეთ. ჩვენმა განყოფილებამ შეადგინა საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის IV სპარტაკიადის დებულება, რომელიც სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს დროულად დავუგზავნეთ. ამოცანად დავისახეთ ნაკრების წევრების ხარისხიანი სპორტინვენტარითა და ფორმებით უზრუნველყოფაც. დავაკომპლექტეთ რესპუბლიკის სპარტაკიადის მსაჯთა კოლეგია. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოებთან ერთად წვრთნის სათანადო პირობები შევუქმენით რესპუბლიკური ნაკრები გუნდების წევრებს. მწვრთნელები ზაფხულში განსაკუთრებულ ყურადღებას საერთო ფიზიკურ მომზადებას აქცევდნენ. თოვლის მოსვლისთანავე კი მზადების პროგრამაში სპეციალური ვარჯიშებიც შეიტანეს.

საბოლოოდ საქართველოს გუნდი რესპუბლიკური სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდება.

**● ვინ მიიღებს მონაწილეობას საქართველოს სპარტაკიადაში და როდის ჩატარდება შეჯიბრებები?**

— ამ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება საქართველოს ყველა პროფკავშირული სპორტსაზოგადოების სპორტსმენებს აქვთ (პროფკავშირების დარგობრივი კომიტეტები პარალელურ ჩათვლას მიიღებენ). მაგრამ, ჩემი აზრით, გამარჯვებისთვის მთავარი ბრძოლები მაინც „ბურევესტნიკის", „კოლმეურნის", „განთიადისა" და „სპარტაკის" კოლექტივებს შორის გაიმართება, ვინაიდან სხვა სპორტსაზოგადოებათა საბჭოები ზამთრის სახეობების განვითარებისთვის თითქმის არაფერს აკეთებენ.

რაც შეეხება სპარტაკიადის გრაფიკს, თავდაპირველი ვადების ორი დღით გადაწევა მოგვიხდა. სპარტაკიადა 11 იანვარს უნდა გაგვეხსნა, მაგრამ, ვინაიდან იმ პერიოდში ბაკურიანში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე „მფრინავ მოთხილამურეთა" მორიგი საერთაშორისო შეჯიბრება ტარდება, ჩვენს ასპარეზობას 13 იანვარს გავხსნით და 19-ში დავხურავთ.

**● გაგვაცანით რამდენიმე მთავარი პუნქტი რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულებიდან.**

— საქართველოში, განსაკუთრებით პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებებში ზამთრის სახეობების მასობრივად დანერგვის მიზნით სპარტაკიადის სარბიელზე მეორე და უფრო მაღალი თანრიგების სპორტსმენებს დავუშვებთ, ჩათვლაში კი ყველა შედეგი შევა, ოღონდ მონაწილენი რბოლებში ათ, სხვა სახეობებში კი თხუთმეტ უძლიერესს შორის უნდა მოხვდნენ. რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში შედის რბოლები, სამთოსათხილამურო და საციგაო სპორტი, ტრამპლინიდან ხტომა და ფიგურული ციგურაობა. პირველ ოთხ სახეობაში გუნდებმა მოზარდებიც უნდა გამოიყვანონ. მოზარდებისთვის ჩათვლა ცალკე ეწყობა, მაგრამ ქულებს ისინიც ისევე იძლევიან, როგორც უფროსები. ასე რომ, საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის დიდი მნიშვნელობა მიენიჭება კოლექტივების სრულად დაკომპლექტებას. სპარტაკიადა უმთავრესად გუნდური ტურნირია, მაგრამ პირად შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებსაც ექნებათ სარბიელზე გამოსვლის უფლება.

როგორც ცალკეული სახეობების, ისე საერთო გუნდურ ჩათვლაში სპორტსაზოგადოებებისა და პროფკავშირის დარგობრივი კომიტეტების კოლექტივებს შორის გამარჯვებული ცალ-ცალკე ის გუნდი იქნება, რომელიც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს.

**● წარმატების რა შანსი აქვს საქართველოს სპორტულ დელეგაციას საკავშირო პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადაში?**

— გორკის, ტერსკოლისა და ბრატსკის შეჯიბრებებში დიდი წარმატების იმედი არა გვაქვს. გუნდურ ტურნირებში საპრიზო ადგილების მოპოვებაზე არც ვფიქრობთ, ვინაიდან ჩვენებს საამისო ძალა არ შესწევთ. მაგრამ პირად ტურნირში რაღაცის იმედი გვაქვს. ესეც არ იყოს, დარწმუნებული ვართ, საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს პროფკავშირელი სპორტსმენების მონაწილეობა უკვალოდ არ ჩაივლის. ეს ასპარეზობა ხელს შეუწყობს ზამთრის სახეობების შემდგომ განვითარებას ჩვენში.

• • •

საქართველოს პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების ბევრმა სპორტსმენმა წლეულს მარტში ბაკურიანში გამართულ სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში დამაკმაყოფილებლად იასპარეზა. ახლა ისინი პროფკავშირთა საქართველოს IV და საბჭოთა კავშირის VIII სპარტაკიადებისთვის ენერგიულად ემზადებიან. ერთი მათგანია სპარტაკელი სამთომოთხილამურე, სპორტის ოსტატი ა. სტეპანიანი.



სურათზე: ა. სტეპანიანი ხალხთა სპარტაკიადაში გიგანტურ სლალომში ასპარეზობის დროს.

ო. გელაშვილის ფოტო.

მოსწავლეთა [illegible] დღეებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღორძინება

ბოლო ორ საკავშირო სპარტაკიადაში მოკრივეთა შეჯიბრებები არ გამართულა, მაგრამ მომავალ ასპარეზობაში, რომელიც 1976 წელს უნდა მოეწყოს, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებს ისევ ვიხილავთ სარბიელზე. ამიტომ მოკრივეებმა სამზადისი ყველგან ამთავითვე გააჩაღეს.

საქართველოს მოსწავლე მოკრივეებმა თბილისში, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტული „განთიადის" დარბაზში მოიყარეს თავი. რინგზე თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, რუსთავის, ახალციხისა და თელავის 124 მოზარდი გამოვიდა.

1959-1960 წლებში დაბადებულთა ასპარეზობამ სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. 105 ბრძოლიდან 25 ერთ-ერთი მეტოქის აშკარა უპირატესობით აღინიშნა. 57 შეხვედრაში გამარჯვებული ქულებით უპირატესობას დასჯერდა. მართალია, ბავშვებს ამტანობა არ ჰყოფნიდათ, ბევრს რინგზე ბრძოლის დროს ორიენტირებაში დაბნეულობა აკლდა, მაგრამ უმეტესობას ეტყობოდა არჩეული სახეობის დიდი სიყვარული და გამარჯვებისკენ სწრაფვა. ეს კი მთავარია.

შეჯიბრებას წონითი კატეგორიების მიხედვით უძლიერესები არ დაუსახელებია, ვინაიდან ასპარეზობის მთავარი მიზანი ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა იყო, მაგრამ მაინც შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მოზარდი, რომლებმაც მწვრთნელებზე და მსაჯებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. ესენი არიან: ცოთელი მ. აჯიაშვილი, თბილისელები ს. ხაბაროვი და ი. სვირიდოვი, რუსთაველი ი. სევასტიდი, ბათუმელი ი. ხაჩატურიანი...

**ნ. მუკათარიძე.**

ფიზკულტურის კოლექტივებში

# მეტის გაკეთებაც შეიძლება

საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი გ. ნინიაშვილი) თანამშრომლებს უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. ფიზკულტურულ კოლექტივში, რომლის მუშაობასაც გ. მინაზარაშვილი ხელმძღვანელობს, 100-ზე მეტი კაცია გაერთიანებული. ნაყოფიერად მუშაობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის სექციები, რომლებსაც საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვებიან აქტივისტები.

განსაკუთრებით ბევრი მიმდევარი ფეხბურთს ჰყავს. ინსტიტუტის მინიფეხბურთელები სისტემატურად მონაწილეობენ ქალაქისა თუ სხვა პირველობებში. წლეულს თბილისის პირველობაში ინსტიტუტის გუნდმა 24 კოლექტივთან ბრძოლაში VI ადგილი დაიკავა.

რეგულარულად ტარდება საინტერესო შიდასაკოლექტივო ღონისძიებები. 8 მარტთან დაკავშირებით ჩატარდა ქალთა პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გამარჯვებულებს კომკავშირის კომიტეტის დაწესებული პრიზები და საჩუქრები გადაეცათ. ინსტიტუტის მოჭადრაკეები და მოშაშეები ხშირად მართავენ ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელ კოლექტივებთან. ინტენსიურად ეწყობა ტურისტული ლაშქრობები ჩვენი რესპუბლიკის ისტორიულ ადგილებში.

აქვე უნდა აღინიშნოს გულგრილი დამოკიდებულება მშრ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისადმი, რასაც აქტივისტები სპორტული ბაზების უქონლობით ხსნიან. ეს, რა თქმა უნდა, თავის გასამართლებელი საბუთი არ არის.

— გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, — გვითხრა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მ. ხოსიტაშვილმა, — 1975 წლისთვის გადაწყვეტილი გვაქვს ინსტიტუტის ტერიტორიაზე მოვაწყოთ კომპლექსური სტადიონი, მოვიწვიოთ ფიზკულტურის ინსტრუქტორი, რომელიც უხელმძღვანელებს ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობას, დანერგავს საწარმოო ტანვარჯიშს. ფიზკულტურული საბჭოს წევრები ყველაფერს ვიღონებთ, რათა ფიზკულტურა და სპორტი ჩვენი თითოეული თანამშრომლის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდეს.

**ე. ბერიშვილი,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.

# სარბიელზე ჭფრინავები არიან

სოხუმის სპორტულ ბაზებზე სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს სამოქალაქო ავიამუშაკთა VIII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთში, ფეხბურთსა და მძლეოსნობაში.

ფრენბურთელ გოგოთა ასპარეზობა თბილისის ავიასაწარმოს გაერთიანებულმა გუნდმა მოიგო. ქალთა შორის I ადგილი დაისაკუთრა ქუთაისის ავიასარემონტო სახელოსნოს კოლექტივმა.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში 80 კაცმა მშრ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გ. არბუზოვამ (თბილისი) და მ. თომასიანმა (სოხუმი), რომლებმაც 100 მეტრზე რბენაში ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარეს. გუნდური პირველობა ქუთაისელებმა მოიგეს. II ადგილზე არიან სოხუმელები, III — თბილისელი მძლეოსნები.

ფეხბურთელთა ტურნირში 5 გუნდი მონაწილეობდა. სოხუმელებმა თავიანთ ქვეჯგუფში თბილისის ორივე კოლექტივი დაამარცხეს, ხოლო ფინალში ქუთაისის სპორტსმენებს სძლიეს (3:2) და I ადგილი მოიპოვეს.

სპარტაკიადის პროგრამით ტურისტულ მრავალჭიდში შეჯიბრება კოჯრის მიდამოებში ჩატარდა. ამ სახეობაში ყველას სოხუმელმა ავიატორებმა აჯობეს.

ოთხი სახეობის შემდეგ სოხუმის სამოქალაქო ავიაციის ნაკრები ლიდერობს.

სხვა სახეობებში — ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ტყვიის სროლაში ტურნირები ნოემბრის დამლევს თბილისში გაიმართება.

**გ. პოლოსიანი.**
სოხუმი.

# მომავლის გეგმები

ამ ბოლო ხანს საგრძნობლად გააუმჯობესა საწვრთნელი მუშაობა ჩოხატაურის სასწავლო სპორტული კლუბის (უფროსი ვ. ძლიერი) გუნდმა. ამას წინათ გუდაუთაში გამართულ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში თავი გამოიჩინეს ლ. ცინცაძემ, გ. კალანდაძემ, მამა-შვილმა ვ. და მ. ბერძენიშვილებმა, ტ. სიხარულიძემ, ვ. პაიჭაძემ...

ჩოხატაურელ ცხენოსნებს გაფართოებული აქვთ მომავალში ფართო ასპარეზი.

**დ. გურგენიძე.**
(ჩვენი კორ.).
ჩოხატაური.

ფეხბურთი

# ექვსთა ტურნირი

გრძელდება II ლიგის საუკეთესო გუნდების ტურნირი. როგორც ცნობილია, მოასპარეზე 6 გუნდიდან სამი უფლებას მიიღებს გაისად I ლიგაში ითამაშოს.

გათამაშების ლიდერმა — ფრუნზეს „ალგამ“ ადლერში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ყარაგანდის „შახტიორი“. ხოსტაში ყაზანის „რუბინმა“ და ხარკოვის „მეტალისტმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1. სოჭის ცენტრალურ სტადიონზე ასევე ფრედ დაამთავრეს მატჩი „იანგიერმა“ და გროზნოს „თერგმა“ — 2:2.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალგა“ | 3 | 2 | 1 | 0 | 2—0 | 5 |
| „რუბინი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 6—5 | 3 |
| „თერგი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 5—4 | 3 |
| „შახტიორი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 4—3 | 3 |
| „მეტალისტი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 2—4 | 2 |
| „იანგიერი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 4—7 | 2 |



ს უ რ ა თ ზ ე: წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი—მოსკოვის „სპარტაკი“.

ა. იაკოვლევის ფოტო. (საქტესი).

# ბოლო ორი შეხვედრაც

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა ოთხი გუნდის ტურნირი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელთა გამოვლენას და შერჩევას.

გუშინ შედგა ბოლო ორი მატჩი. თბილისისა და დასავლეთ საქართველოს გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს „დასავლეთელებმა“ — 2:1.

აღმოსავლეთ საქართველოს და II ლიგის ნაკრები გუნდების მატჩი ფრედ დასრულდა — 4:4.

ამრიგად, შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა დასავლეთ საქართველოს ნაკრებმა.

# მინდორზე — ნორჩები

## ლაგოდეხი

ორ კვირას გაგრძელდა მოსწავლეთა VII რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობდნენ 16 საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლაგოდეხის 1-ლი და ყარასუბნის საშუალო სკოლების გუნდები. ლაგოდეხელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 3:0.

III ადგილი ლაგოდეხის მე-2 საშუალო სკოლის ფეხბურთელებს ხვდათ.

ჯ. ჯიბლაძე,
ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

## ონი

საინტერესოდ ჩატარდა მოსწავლეთა გუნდების გარდამავალი თასის გათამაშება, რომლის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ონის 1-ლი და ღების საშუალო სკოლების კოლექტივებმა.

ონელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 5:1.

ლ. ბერიშვილი,
ბავშვთა სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

## გორი

ორ თვეს ასპარეზობდნენ 13 გუნდის ნორჩი ფეხბურთელები საქალაქო პირველობისთვის.

გათამაშება დამთავრდა „დილის“ წარმომადგენელთა გამარჯვებით (მწვრთნელები კ. თურაზაშვილი და ზ. ვანიშვილი). მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ დინამოელები და ბამბეულის კომბინატის წარმომადგენლები.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

## ჩოხატაური

ნორჩ ფეხბურთელთა ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად იქცა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ს. კოტრიკაძის სახელობის თასის გათამაშება.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩოხატაურის მე-2 და ერკეთის საშუალო სკოლების გუნდები. საინტერესო ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ჩოხატაურელმა ფეხბურთელებმა მიიღწიეს — 3:1.

რ. ოსეფაიშვილი.



ს უ რ ა თ ზ ე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. კოტრიკაძე თასს გადასცემს გამარჯვებული გუნდის კაპიტანს თ. მაისურაძეს.

# მშენებელთა გუნდის წარმატება

დამთავრდა აჭარის პირველობა. ჩემპიონის წოდებისთვის 11 გუნდი იბრძოდა.

გათამაშება თანაბრად, დამაჯერებლად განვლო ბათუმის საერთო მშენებლობის მე-5 ტრესტის გუნდმა. აღსანიშნავია, რომ მშენებელთა კოლექტივი პირველად მონაწილეობდა რესპუბლიკურ ჩემპიონატში და თავისი დებიუტი ასეთი წარმატებით აღნიშნა. მშენებლებმა თავიდანვე გამოავლინეს საბრძოლო განწყობილება და პირველ წრეში 18 შესაძლებლიდან 17 ქულა აიღეს. ასეთმა სტარტმა გუნდს საშუალება მისცა წარმატებით გადაეჭრა მის წინაშე მდგარი ამოცანები.

მეორე წრეში ლიდერს ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმოს და ნორჩი დინამოელის კოლექტივებმა. კერძოდ, ნორჩმა დინამოელებმა ორივე წრის ჯამში მშენებლებთან 3 ქულა აიღეს, მაგრამ საბოლოოდ ჩემპიონის წოდება № 5 ტრესტის გუნდს ხვდა წილად. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ნორჩი დინამოელი. III ადგილზე ჩაქველები გავიდნენ.

ზემოჩამოთვლილი გუნდების გარდა, კარგი მომზადება გამოავლინეს სოფელ წინსვლისა და ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ კოლექტივებმა.

ხანგრძლივი „შესვენების“ შემდეგ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ქედისა და ხულოს მაღალმთიანი რაიონების გუნდებმა, მაგრამ ჩემპიონატს ჰქონდა სერიოზული ხარვეზებიც. მაგალითად, შარშანდელი ჩემპიონი — ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გუნდი, რომელსაც მუდამ კარგი საფეხბურთო ტრადიციები ჰქონდა, ჯერ კიდევ პირველ წრეში რამდენიმეჯერ ზედიზედ დამარცხდა, შემდეგ კი აღარ ისურვა გათამაშების გაგრძელება და გამოეთიშა შეჯიბრებას. ამით აჭარაში ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივი ფეხბურთისთვის „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდა. ამას გარდა, ამ გუნდის მოთამაშეები გამოირჩეოდნენ უდისციპლინობით, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს ა. ღარიბოვი და მ. ნიკაგოსიანი. დისციპლინა დაარღვია სოფელ ჩაისუბნის გუნდმაც.

შეჯიბრებამ გამოავლინა ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები: ი. მამინაიშვილი, ხ. წუწუნავა, გ. ბოჭუა, ვ. ხახუბია, ვ. ჩაზმავა (ყველა — ნორჩი დინამოელი), ლ. კუნჭულია, ტ. კოპალიანი, ლ. გუჯაბიძე (ყველა — მე-5 ტრესტი), ზ. ფაღავა (წინსვლა)...

აღსანიშნავია ი. კუსიდის, გ. პამკოვის, ნ. მუხამავრიას და კ. დავიდიანის კარგი მსაჯობა.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

• • •

მოგვყავს გათამაშების საბოლოო ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საერთო მშენებლობის მე-5 ტრესტი | 18 | 14 | 3 | 1 | 50—25 | 31 |
| ნორჩი დინამ. | 18 | 13 | 4 | 1 | 59—13 | 30 |
| ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმო | 18 | 13 | 2 | 3 | 46—15 | 28 |
| სოფელი წინსვლა (ხელვაჩ. რ.) | 18 | 10 | 6 | 2 | 29—24 | 26 |
| ქარხანა „ელექტროხ.“ | 18 | 7 | 5 | 6 | 38—39 | 19 |
| ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა | 18 | 7 | 2 | 9 | 29—29 | 16 |
| სოფელი ჩაისუბანი (ქობულ. რ.) | 18 | 5 | 1 | 12 | 27—47 | 11 |
| ქედის რაიონის ნაკრები | 18 | 4 | 1 | 13 | 19—51 | 9 |
| სოფელი ახალშენი (ხელვაჩ. რ.) | 18 | 2 | 2 | 14 | 13—38 | 6 |
| ხულოს რაიონის ნაკრები | 18 | 2 | 0 | 16 | 11—40 | 4 |

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ერთი საშუალედო ფინიში



ვილნიუსი, 25 ნოემბერი. რიგის ტტტ-ს და სვერდლოვსკის „ურალმაშის“ შეხვედრით დამთავრდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ერთი ნახევარი.

ლატვიელი კალათბურთელები, რომლებმაც შარშან ჩემპიონის კვერთხი ლენინგრადის „სპარტაკს“ გადასცეს, ახალ სეზონში ამ „დიდსულოვნების“ გამოსწორებას ცდილობენ. ჩემპიონატის სტარტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ხსვებზე ახლოს არიან მიზანთან. „ურალმაშთან“ გამარჯვების შემდეგ (77:52, ტაიმი — 46:23) ტტტ საკავშირო ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

„კიბირკშტისმა“ კიდევ ერთი, რიგით მეოთხე შეხვედრა მოიგო: ამჯერად ფრუნზეს „სტროიტელი“ დაამარცხა — 75:52 (33:12). გუშინწინდელი აუტსაიდერი დღეს საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის. რამდენად რეალურია მისი პრეტენზიები, ამას მომდევნო შეხვედრები გვიჩვენებს. ახლა კი ამ გუნდის წარმატება დროებით „საკუთარი კედლების“ უპირატესობას მივაწეროთ.

მოსკოვის „დინამო“ შედარებით იოლად გაუსწორდა უმაღლესი ლიგის დებიუტანტს, დნეპროპეტროვსკის „სტალს“ — 82:59 (56:27).

## გათამაშების ცხრილი

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ | 5 | 0 | 382—245 | 5 |
| „კიბირკშტისი“ | 4 | 1 | 341—333 | 4 |
| „დინამო“ (მ.) | 3 | 2 | 352—309 | 3 |
| „ურალმაში“ | 2 | 3 | 316—314 | 2 |
| „სტროიტელი“ | 1 | 4 | 265—346 | 1 |
| „სტალი“ | 0 | 5 | 272—381 | 0 |

ჩემპიონატის პირველი ტური კორესპონდენტებთან საუბარში მოკლედ შეაჯამა სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. ალექსეევამ. მან თქვა, რომ ტურნირის სტარტმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად ამაღლდა კალათბურთელთა ფიზიკური მომზადების დონე. გაიზარდა და გაღრმავდა მათი ტექნიკური არსენალიც.

მწვრთნელს წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ და სასიხარულო სენსაციად მიაჩნია ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის (ფისკ) კალათბურთელთა კარგი თამაში. რაც უფრო თამამად შემოვლენ დიდ კალათბურთში ასეთი გუნდები, მით უფრო საიმედო იქნება მომავალი — ასეთია ყველა სპეციალისტის რწმენა.

ახლა კი იმისთვის, რომ მკითხველმა უკეთ წარმოიდგინოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგები, გთავაზობთ ნაკრებ ცხრილს.

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ | 5 | 0 | 382—245 | 5 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) | 4 | 1 | 375—328 | 4 |
| „სპარტაკი“ (ლ.) | 4 | 1 | 368—313 | 4 |
| „კიბირკშტისი“ | 4 | 1 | 341—333 | 4 |
| „დინამო“ (მ.) | 3 | 2 | 352—309 | 3 |
| ფისკ | 3 | 2 | 280—289 | 3 |
| „ურალმაში“ | 2 | 3 | 316—314 | 2 |
| „დინამო“ (კ.) | 2 | 3 | 328—338 | 2 |
| „უნივერსიტეტი“ | 2 | 3 | 309—327 | 2 |
| „სტროიტელი“ | 1 | 4 | 265—346 | 1 |
| „ზურევესტნიკი“ | 0 | 5 | 285—351 | 0 |
| „სტალი“ | 0 | 5 | 272—381 | 0 |

„ლელოს“ მიმომხილველი.

# ნოდების მინიჭება

სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის გ. რცხილაძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორს მ. ჯუღელს მიენიჭა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება სპორტულ ტანვარჯიშში.

## ლაგოდეხი

დამთავრდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თასის გათამაშება ფეხბურთში. კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი ლაგოდეხის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა, რომლებმაც დაისაკუთრეს პრიზი. II ადგილზე გავიდნენ აფენელი ფეხბურთელები.

გ. ხარაიშვილი.

# ჩვენი ძმადი რესპუბლიკები

## შეფები ჩამოვიდნენ...

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე სპორტული დესანტი „გადასხეს“: დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის მონაწილეებს კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებლები და სტუდენტები ეწვივნენ. ცნობილმა სპორტსმენებმა, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის ღირსებას იცავენ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, მონაწილეობა მიიღეს საჩვენებელ გამოსვლებში, მასპინძლებთან ერთად გამოვიდნენ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გამართული შეჯიბრების სარბიელზე, ჩაატარეს ვარჯიში ახალგაზრდა ფიზკულტურელებთან.

კიეველმა სტუდენტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს უნიკალური მშენებლობა, იყვნენ საერთო საცხოვრებლებში და მუშათა კოლექტივებში, სადაც ფიზკულტურული მოძრაობის ენთუზიასტებს სამახსოვრო პრიზები გადასცეს.

სტუმრებმაც და მშენებლებმაც გადაწყვიტეს, რომ ასეთი შეხვედრები ტრადიციად უნდა იქცეს.

ჩერნობილი,
კიევის ოლქი.

## ჩემპიონი 55 წლისაა

24 ნოემბერს სპორტის ვეტერანს, საბჭოთა მეურნეობა „კისლოვოდსკის“ რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს, სტალინგრადის ბრძოლის მონაწილეს ი. პროტოპოპოვს 55 წელი შეუსრულდა. მან თავისებურად აღნიშნა დაბადების დღე: მშდ კომპლექსის მრავალჭიდში სტავროპოლის მხარის სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ მიერ გამართულ შეჯიბრებაში ყველას აჯობა V საფეხურის („მხნეობა და ჯანმრთელობა“) პროგრამით და ბევრი ახალგაზრდა მეტოქე ჩამოიტოვა. პროტოპოპოვი პირველი იყო ხტომაში, ბირთვის კვრაში, 800 მეტრზე რბენაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სტავროპოლის 16 რაიონის სოფლის სპორტსმენები.

დ. მაიდანსკი.

პიატიგორსკი.

ახალი წიგნები

# ანაპურნაზე მასთან ერთად

ანაპურნა — მოსავლის ქალღმერთი. ის არის ერთ-ერთი მსოფლიოს იმ თოთხმეტი გიგანტი მწვერვალიდან, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება. 1950 წლამდე სხვადასხვა ქვეყნის ოცდაორმა ექსპედიციამ ამაოდ სცადა თუნდაც ერთ-ერთი ამ გოლიათის დაპყრობა.

და აი, 1950 წლის 3 ივნისს 8075 მეტრ სიმაღლეზე მორის ერცოგმა და ლუი ლაშენალმა საფრანგეთის დროშაააფრიალეს. მათ დაიპყრეს ანაპურნა. ეს იყო ადამიანის დიდი გამარჯვება თავის თავთან და პირქუშ სტიქიასთან ბრძოლაში. ერცოგმა და ლაშენალმა სამყაროს გადმოხედეს ისეთი სიმაღლიდან, რომლისთვისაც მანამდე არც ერთ სულიერს არ მიუღწევია.

სწორედ ამ ექსპედიციის შესახებ მოგვითხრობს მ. ერცოგის წიგნი „ანაპურნა“, რომელიც „ნაკადულმა“ გამოსცა (ტირაჟი — 20000 ცალი).

ვფურცლავთ ამ წიგნს და ჩვენ ექსპედიციის წევრებთან ერთად მივემგზავრებით ჰიმალაის მთებისკენ, ვეცნობით ნეპალელთა ყოფა-ცხოვრებას, მთამსვლელებთან ერთად ვებრძვით თეთრ, პირქუშ და ამავე დროს მომხიბლავ მთებს, ვიპყრობთ მწვერვალს.

„დღეს ანაპურნაზე ავიდა არა მხოლოდ ერთი ჩაზმა, ავიდა მთელი გუნდი“, — წერს ერცოგი (მართლაც, სხვებიც ღირსნი რომ იყვნენ ამ მწვერვალზე ასვლისა, ეს ანაპურნის ექსპედიციის ორმა წევრმა — ჟან კუზიმ და ლიონელ ტერაიმ მომდევნო წლებში დაამტკიცეს, როცა ჰიმალაის მთებში პირველებმა დაიპყრეს მთავარი ჩომოლენზო (7790 მ) და მთავარი მაკალუ — 8483 მ).

„მიზანი მიღწეულია, მაგრამ ამავე დროს დაგვირგვინებულია რაღაც გაცილებით უფრო დიადი. რა მშვენიერი იქნება ამიერიდან სიცოცხლე! გასაოცარი შეგრძნებაა — უეცრად შეიცნო შენი იდეალი და საკუთარი თავი.

მღელვარება მახრჩობს. არასოდეს განმიცდია ესოდენ ძლიერი და წრფელი სიხარული“, — გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს ერცოგი და ჩვენც განგვაცდევინებს ამ სიხარულს. ასევე განვიცდით მწვერვალიდან მთამსვლელთა დრამატიზმით აღსავსე დაშვებას.

„ანაპურნა საუნჯესავით დარჩება ჩვენს მოგონებებში მთელი ცხოვრების მანძილზე. ამ აზრით ვშლით ახალ ფურცლებს“, — წერს ავტორი და ჩვენც ამ აზრით გადავფურცლოთ „ანაპურნა“, რომელიც პირველად გამოვიდა ქართულ ენაზე.

წიგნის თარგმანი ჩვენს ლეგენდარულ მთამსვლელს ალექსანდრა ჯაფარიძეს ეკუთვნის (რედაქტორია მ. აბულაძე, მხატვარი — ლ. ფალინი).

მ. ერცოგის ნაამბობის უკეთ გაგებაში გვეხმარება წიგნში შეტანილი ფოტოილუსტრაციებიც.

**ა. გურასაშვილი.**

• • •

**სურათებზე: მ. ერცოგის წიგნი „ანაპურნა“; მორის ერცოგი.**






## სპორტის განვითარებისთვის

**კაირო, 26 ნოემბერი.** 1975 წელს არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი წლევანდელთან შედარებით სამჯერ გაიზრდება. იგი შეადგენს მილიონ 50 ათას ეგვიპტურ გირვანქას.

საბჭოს თავმჯდომარემ აბდელ ჰამიდ ჰასანმა, რომელმაც ეს გამოაცხადა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტის მთავრობა კაპიტალდაბანდებას სპორტისა და ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ მიიჩნევს, რამდენადაც ეს დაკავშირებულია პიროვნების ფიზიკურ და სულიერ სრულყოფასთან, მის ჰარმონიულ განვითარებასთან. (საკდესი).



# გამარჯვებული დიდოსტატი პრეს-კონფერენციაზე

— უახლოეს დღეებში სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზია თქვენს შესახებ გადაცემას აწყობს. რა რჩევას მისცემდით ხუთი წლის ბიჭს, რომელიც ოცნებობს თქვენისთანა საჭადრაკო ბიოგრაფიაზე?

ასეთი იყო ერთ-ერთი შეკითხვა, რომელიც მოსკოვში 25 ნოემბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე მისცეს ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში გამარჯვებულ ლენინგრადელ სტუდენტს ანატოლი კარპოვს. რატომ მაინცდამაინც ხუთი წლის ბიჭი თქვეს? იმიტომ, რომ თავად კარპოვმა ამ ასაკში ისწავლა ჭადრაკის თამაში. რა უპასუხა ანატოლიმ? მან ჯერ თქვა, არ ვიციო, მერე კი მაინც ჩამოაყალიბა ჭეშმარიტად ამომწურავი „რეკომენდაცია“:

— გამარჯვებას მხოლოდ ის მოიპოვებს, ვისაც მთელი არსებით უყვარს ჭადრაკი, ვისაც შეუპოვრად მუშაობა შეუძლია.

ყველა მიხვდება, რომ დიდოსტატი თავის თავზე ლაპარაკობდა. 23 წლის ასაკში ასეთი წარმატების მოპოვება მხოლოდ უაღრესად ნიჭიერ და ამავე დროს უჩვეულოდ შრომისმოყვარე ადამიანს შეუძლია.

— ბედნიერი ხართ ახლა?

— არ დავფიქრებულვარ, მაგრამ, მგონი, კმაყოფილი ვარ. ჭადრაკი ჩემი სიცოცხლეა.

— ალბათ ძალიან მნიშვნელოვანია ყოველი მეტოქის წინააღმდეგ საბრძოლველად განწყობა, არა? — ეკითხება ვიღაც და პასუხად ისმის ახალგაზრდა დიდოსტატის მშვიდი ხმა:

— რატომ მაინცდამაინც „წინააღმდეგ“? მე ვცდილობ მეტოქის მიმართ კეთილმოსურნეობა გამოვიჩინო.

ანატოლი კარპოვმა ეს კეთილმოსურნეობა გამოიჩინა ვიქტორ კორჩნოის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროსაც.

— ვიქტორ კორჩნოი კარგად თამაშობდა, რა თქმა უნდა, იყო შეცდომებიც ორივე მეტოქის მხრიდან, მაგრამ უამისოდ ხომ მატჩის ჩატარება არც შეიძლება.

სხვათა შორის, კარპოვის აზრით, მისი მატჩი კორჩნოისთან ბევრად უფრო მაღალ დონეზე ჩატარდა, ვიდრე ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის ბორის სპასკისა და რობერტ ფიშერს შორის 1972 წელს.

— იმ მატჩში იყო სერიოზული შეცდომები, განსაკუთრებით სპასკის თამაშში, ჩვენს შეხვედრაში კი ასეთი რამ არ ყოფილა. გამონაკლისი, შეიძლება ითქვას, იყო ჩემი შეცდომები XIX და XXI პარტიებში. ჩვენი ბრძოლა უფრო მაღალ დონეზე იდგა დაძაბულობით, ხოლო სანახაობრივი თვალსაზრისით ის მატჩი სჯობდა.

— თუმცა, — დასძინა ანატოლიმ, — ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. შეჯიბრების შემდეგ ჯერ ძალიან ცოტა დროა გასული იმისთვის, რომ ნამდვილად ღრმა დასკვნები გავაკეთოთ. ჩემი თამაშით მაინცდამაინც კმაყოფილი არა ვარ. საბოლოო ჯამში მატჩი საბრძოლო, მაგრამ ძალიან დამქანცველი გამოვიდა. ხანდახან იყო შემთხვევა, რომ მეფეებამდე ვთამაშობდით. მე-17 შეხვედრის შემდეგ ვფიქრობდი: მორჩა, გამარჯვება ჩემია-მეთქი, მაგრამ თურმე როგორ ვცდებოდი.

— ეგრეთ წოდებული „შეკრული“ პარტია ჩვენს მატჩში ბევრი არ ყოფილა. ბრძოლა ძალიან დაძაბული იყო. დაცვა სათანადო სიმაღლეზე იდგა. საუკეთესოდ მიმაჩნია II და XIII (დაახლოებით 30-ე სვლამდე) პარტიები.

კარპოვის აზრით, მეტოქეებმა სიახლე შეიტანეს ფრანგული და ახალინდური დაცვის თეორიაში.

ანატოლის ძალიან მძიმედ მიაჩნია არა მარტო 24 პარტიისგან შემდგარი პრეტენდენტთა მატჩი, არამედ მთელი მსოფლიო პირველობის სამწლიანი ციკლი. იგი სიამოვნებით შემოგვთავაზებდა პრეტენდენტთა ტურნირს 12 მონაწილით და ორ წრედ.

გასაგებია, რომ კარპოვს ძალიან ბევრი შეკითხვა მისცეს მსოფლიო პირველობაზე 1975 წლის მატჩის შესახებ. კარპოვის პასუხების დედააზრი ასეთია: იმედი მაქვს ეს მატჩი შედგება. მე მოვემზადები ბრძოლისთვის. რაც უნდა მოხდეს, ჩემი მუშაობა უკვალოდ არ ჩაივლის.

კარპოვს მოაგონეს ერთ-ერთი გაზეთის მიერ გამოთქმული აზრი, რომ ფიშერი დაამარცხებს ნებისმიერ დიდოსტატ „კ“-ს. კარპოვმა მიუგო:

— თუ გამარჯვების რწმენა არა გაქვს, მაშინ არც უნდა მიუჯდე დაფას. არა მგონია, რომ შანსი საერთოდ არ მქონდეს.

— თქვენი აზრით, რა პრობლემების გადაწყვეტა იქნება საჭირო ფიშერთან მატჩის წინ, თუ ეს მატჩი შედგა?

— ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მთელი პრეს-კონფერენცია არ იკმარებდა, — განაცხადა კარპოვმა.

ახალგაზრდა დიდოსტატს მხარი დაუჭირა სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორმა გ. ბატურინსკიმ:

— აქ შეკრებილთ გავახსენებ სიტყვებს, რომლებითაც კარპოვმა კორჩნოისთან მატჩის საზეიმო დახურვაზე მიმართა ფიდე-ს პრეზიდენტს მაქს ეივეს: „მე მინდა ფიშერთან მატჩი შედგეს. მინდა პატიოსან სპორტულ ბრძოლაში შევხვდე მას. იმედი მაქვს, რომ მატჩის წესებიც და რეგლამენტიც, თუმცა უნაკლო არც ერთი არ არის, დაცული იქნება და აღარ გამეორდება ის უსიამოვნო ინციდენტები, რაც ფიშერ — სპასკის მატჩში ხდებოდა 1972 წელს“. ასეთია სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პოზიციაც.

**ვ. ბაბკინი.**
**(საკდესის კორ.).**

მოსკოვი.

• • •

**სურათზე:** მატჩის პრეს-ცენტრში მუდამ დიდი გამოცოცხლება სუფევდა. სახელგანთქმული დიდოსტატები და ოსტატები მეტოქეთა ყოველ სვლას არჩევდნენ. აი, ახლა ამ საქმით გართულ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, მოსკოველ დიდოსტატ ტ. პეტროსიანს ხედავთ.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

# ძალიან გამოაჯგება

გლაზგოს „სელტიკს“, რომელმაც შაბათს ეროვნულ ჩემპიონატში ლიდერობა იგდო ხელთ, კიდევ ერთი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი შეემატა. ეს არის „პარტიკ თისლის“ ყოფილი კაპიტანი, 22 წლის რონი გლევინი. იგი ნახევარმცველია და სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ძალიან გამოადგება „სელტიკს“. ამ კლუბის მესვეურებმა გლევინში „პარტიკ თისლს“ 80 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს.

მეორე შოტლანდიურმა კლუბმა „დანდი იუნაიტედმა“ 40 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა II ლიგის გუნდ „ჰამილტონის“ მოთამაშე პოლ ჰეგარტი.

## ახალი სეზონი-74

● **სვერდლოვსკი, 25 ნოემბერი.** საბჭოთა მოციგურავეებმა გუშინ აქ დაწყებული შეჯიბრებით — „სვერდლოვსკის ახალგაზრდობით“ ახალი სეზონი გახსნეს. 500 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის საუკეთესო იყო ლენინგრადელი ე. კულიკოვი — 40,29 წამი. მოსკოველმა ს. მარჩუკმა გაიმარჯვა 3-კილომეტრიან მანძილზე — 4.31,90. ქალთა შორის სპრინტში ბადალი არ ჰყავდა სმოლენსკელ ლ. სადჩიკოვას — 44,11. 1500 მ ყველაზე სწრაფად გაირბინა ლენინგრადელმა გ. სტეპანსკაიამ — 2.23,34.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# თასები, თასები...

## პოლონეთი

ქვეყნის თასის გათამაშება სენსაციურად დაიწყო: ბრძოლას მეთექვსმეტედფინალშივე გამოეთიშა რამდენიმე მოწინავე კლუბი. ესენი არიან: ვარშავის ორივე გუნდი — „ლეგია“ და „გვარდია“, ბიტომის „შომბერკი“, გდინიის „არკა“, სოსნოვეცის „ზაგლემბე“. მაგრამ ყველაზე მოულოდნელი მაინც ჩემპიონატის ლიდერის — ხოჟუვის „რუხის“ დამარცხება იყო. მან ხომ II ლიგის გუნდთან, ლიუბლინის „ზაგლემბესთან“ წააგო — 2:3.

წაგებას ძლივს დააღწია თავი ბიტომის „პოლონიამ“, რომელმაც პირველი ტაიმი დათმო (0:2) ასევე მეორე ლიგის გუნდთან — ვალბჟიხის „გურნიკთან“, მაგრამ შემდეგ რადეცკიმ სამი გოლი გაიტანა და გამარჯვება მოუტანა „პოლონიას“ — 3:2.

„ჰეთ-თრიკი“ გაკეთდა ზაბჟეს „გურნიკისა“ და კრაკოვის „ჰუტნიკის“ მატჩშიც. ეს სტუმართა გუნდის (შეხვედრა კრაკოვში ჩატარდა) მოთამაშემ ა. შარმახმა შეძლო.

მელეცის „სტალმა“ ანგარიშით 4:0 დაამარცხა თავისი პონიატოველი თანაკლუბელები (ორი ბურთი ლატომ გაიტანა).

## გერდ მიულერის რეკორდი

„ფაუ მაგდებურგთან“ გატანილი ორი გოლით გ. მიულერმა რეკორდი დაამყარა. მას ნათამაშევი აქვს სამი ევროპული ტურნირის (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასები) 44 მატჩში და ამ შეხვედრებში გაიტანა 49 გოლი, რაც იშვიათ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

**რედაქტორი მ. პაპაბაძე.**

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს**

ფეხბურთის, ჩოგბურთისა და ხელბურთის კათედრის მასწავლებლის თანამდებობაზე (ფეხბურთის სპეციალობით, 1 ადგილი).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი. ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

ტელეფონები: 22-31-60, 23-09-02.

**ხვალ**

საქართველოს ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება მშვილდოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დღის წესრიგი: 1. მშვილდოსნობის მდგომარეობა რესპუბლიკაში, 2. ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

დასაწყისი 15 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04831